30.01.2024 წ.

ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ,
ს/კ # 01.72.14.009.616 ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის
მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი მდებარეობს ქ. თბილისში, ქ. თბილისში, გზატკეცილი გარდაბანი #42 -ის მიმდებარედ, ს/კ 01.19.32.001.132, მრავალფუნქციური კომპლექსი 14 სართულიანია 2 მიწისქვეშა სართულით.

მშენებარე შენობას ჩრდილოთის მხრიდან დაახლოებით 6 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 1 სართულიანი სასაწყობე შენობა და სამანქანო გზა, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.32.001.008, სამხრეთის-აღმოსავლეთის და აღმოსავლეთის მხარეს დაახლოებით 11 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 1 სართულიანი სასაწყობე შენობები, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.32.001.116; დასავლეთის მხარეს ესაზღვრება თავისუფალი ტერიტორია.

საცხოვრებელი შენობის გეგმარებითი პარამეტრები:

შენობა ღერძებში არის **54.60 X 75.95 მ**; მაქსიმაური მალი შეადგენს **L=6.90 მ.** შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა, მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით. სართულის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს **H=4.80 მ.** შენობის პირობითი ნიშნული - **±0.00**, პირობითი ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული **+398.50**

ნაგებობის დაფუძნების პირობები: სამშენებლო მოედნის (ს/კ 01.19.32.001.132) გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობა საძირკვლის ფილის მეშვეობით ეფუძნება ძირითად ქანს **ფენა-5 -ს R_c=14.0 მპა**

გავლენის შეფასება საპროექტო შენობის ჩრდილოეთ მხარეს ს/კ 01.19.32.001.008 მდებარე მიწის ნაკვეთზე და სამხრეთ-აღმოსავლეთის და აღმოსავლეთის მხარეს ს/კ 01.19.32.001.116 მდებარე შენობებისთვის გავლენის შესამცირებელ ღონისძიებად პროექტით გავალისწინებულია შენობის საძირკვლის ფილის მეშვეობით კლდოვან ქანზე დასმა, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს დატვირტვების გადამტანს. ქვაბულის გასამაგრებლად საჭიროა ქვაბულის მოჭრა ქანობებით.

<u>დასკვნა:</u>

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში და ასევე პროექტით გათვალისწინებული ქვაბულის პროექტიდან გამომდინარე ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს (კერძოდ შემდეგ საკადასტრო კოდებზე მდებარე შენობა ნაგებობები: 01.19.32.001.008, 01.19.32.001.116), როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: თ. მაცაბერიძე